



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 240

21/11/2016

პანდუსის მოწყობის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, იმავე კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 62-ე მუხლის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57-ე დადგენილების 65-ე და 66-ე მუხლების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეთანხმდეს პანდუსის მოწყობა ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ., №25-ს ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდით 55.12.59.008).
დამკვეთი: ს.ს. „თიბისი ბანკი“, ID 204854595.
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., №7.
2. ს.ს. „თიბისი ბანკი“ ვალდებულია დაიცვას I კლასის შენობა-ნაგებობისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები.
3. სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნეს კონსტრუქციული მდგრადობა.
4. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
5. ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სიღნაღი, ც. დადიანის ქ. №15).

გიორგი გზირიშვილი

გამგებელი